საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მურნეობის

მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

თქვენი წერილის, N10852/01-თან (დათარიღებული 17/11/2020) დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

- ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის შესაბამისად, ჩვენს მიერ დასამუშავებლად მიღებული ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდი არის R9 და აღწერილობა - „ნავთობ პროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარად ხელახალი გამოყენება."
- კრეკინგის დანადგარი "MYOM -70" წარმოადგენს აბსოლუტურად უსაფრთხო დანადგარს და გიგზავნით აღნიშნული დანადგარის პასპორტს.(იხ.მიმაგრებული ფაილი)
- საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს 38 და 45 მეტრში ნამდვილად მდებარეობს ქალბატონ დოდო ბულბულაშვილის და ბატონ თამაზ ტუხიაშვილის კუთვნილებაში არსებული საცხოვრებელი სახლები (საკადასტრო კოდებით 67.02.42.315 და 67.02.42.384) და მათთან შეთანხმების დამადასტურებელ დოკუმენტებს საწარმოს მოწყობასთან და ექსპულატაციასთან დაკავშირებით, ასევე იხილავთ მიმაგრებულ ფაილებში.
(ასევე, გაცნობებთ, რომ ქ-ნ დ.ბულბულაშილის მეუღლე ,ბ-ნი რამაზ ბულბულაშვილი და ბ-ნი თამაზ ტუხიაშვილი არიან ჩვენს კომპანიაში დასაქმებული პირები)

რაც, შეეხება კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს მოსახლეობის მიერ სამინისტროში წარმოდგენილ წერილს,გვინდა გაცნობოთ, ამასთან დაკშვირებით ჩვენი პოზიცია და მოსაზრებები:

- ჩვენი კომპანიის მიერ არ ყოფილა ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს მხოლოდ კომპანიის ბალანსზე არსებული სამი შენობა-ნაგებობის რემონტი, რომლებიც განთავსებულია არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე და არსებული კანონმდებლობით არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას.
- ასევე, გაცნობებთ, რომ ჩვენს გეგმებში არ შედის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის გარეშე რაიმე სახის მშენებლობის განხორციელება , პირიქით წარმოების შექმნის ბოლო ეტაპზე ჩვენ ვგეგმავთ სოფელ წეროვანში დასაწყობებული ნაყოფიერი ფენის მიწის შეძენას ,რათა მოვახდინოთ ჩვენს ტერიტორიაზე მისი გაშლა და მცენარების გაშენება, რათა შეიქმნას სასიამოვნო გარემო, როგორც დასაქმებული პირებისთვის ,ასევე სოფლის მაცხოვრებლებისათვის.
- რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების უშაულო სიახლოვეს,როგორც ზემოთ აღვნიშნეთ , მიმაგრებულ ფაილებში შეგიძლიათ იხილოთ მათთან შეთანხმების დოკუმენტები.
- და ასევე , გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ დაგეგმილი წარმოება არ წარმოადგენს საფრთხეს გარემოს დაცვის კომპონენტებთან (მიწა,წყალი,ჰაერი) და ადამიანებთან მიმართებაში.თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნა,რომელიც გამოხატულია მოსახლების წერილში, დეტალურად არის განხილული, ჩვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნომრით 12750, დათარიღებული ამა წლის 12 აგვისტოს.

№ 18067
"19" 11 2020
3 ფ.

ჩვენი კომპანიის მიზანია, კონფლიქტის მიმდებარე ზონებში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა (მათ შორის დაზღვევით უზრუნველყოფა და ა.შ) და მძიმე ეკონომუკური პირობების გაუმჯობესება,ეკოლოგიისათვის და ადამიანებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

სწორედ ეს იყო ერთერთი მიზეზი იმისა რომ USAID-ZRDA-მ და"სტარტაპ საქართველომ" გამოხატეს მზაობა და მოახდინეს არებული პროექტის თანადაფინანსება.

პატივისცემით

შპს „უნივერსალური ჯგუფი"-ს

დირექტორი: გელა ქამუშაძე